

ომი უკრაინაში, ყოველდღიური განახლებები 06.03.2022. 10-საათი

ჰუმანიტარული დერეფნები. მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციისათვის აუცილებელი ჰუმანიტარული დერეფნების მხარდაჭერა, უკრაინა-რუსეთის მოლაპარაკებების მეორე რაუნდის მთავარი შედეგი იყო. ევაკუაცია 5 მარტს უნდა დაწყებულიყო: მარიუპოლში, ვოლნოვახაში და იპრინში. თუმცა რუსეთის მხრიდან ავიადარტყმები არ შეჩერებულა. მარიუპოლიდან ევაკუაცია შეჩერდა რუსული ძალების მიერ ქალაქისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაბომბვის გამო. [იპრინი](#) და მისი მიმდებარე ტერიტორიები მოსახლეობამ ავტობუსებით დატოვა, რადგან რუსულმა ძალებმა გაანადგურეს სარკინიგზო გზა. ვოლონოვკის და მისი მიმდებარე სოფლების 400-ზე მეტმა მცხოვრებმა დატოვეს საკუთარი სახლები. იპრინში, კიევის მიმდებარედ, მოხალისეებმა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად ცდილობდნენ მოსახლეობის დახმარებას, მაგრამ ყველა ცოცხალი გადაურჩა რუსულ თავდასხმებს. უკრაინული ცხოველთა უფლებადამცველი ორგანიზაცია Uanimalis იუწყება რომ მათი 4 მოხალისე, რომლებიც ცხოველთა თავშესაფარს ეხმარებოდნენ, დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ. იგივე ბედი ეწიათ ჩერნიგოვისა და კიევის მცხოვრებლებს რეგიონებში (კერძოდ, ბუჩასა და ჰოსტომელში), რომლებიც გზაზე საკუთარ მანქანებში მოკლეს, როცა ისინი ევაკუაციას ცდილობდნენ.

აქტიური თავდასხმის ქვეშ მყოფი ქალაქები. რუსებმა დაიკავეს ქალქა ბოროდიანკაში, კიევის მიმდებარედ, არსებული ფსიქო-ნეიროლოგიული პაციენტებისათვის არსებული პანსიონი და დანადგმეს ყველა შესასვლელი. მათ პანსიონის დაახლოებით 500 პაციენტი მძევლად აიყვანეს მათგან 100 საწოლს არის მიჯაჭვული. მძევლები გვიან საღამოს გაათავისუფლეს. ბილა ცერკვაში, კიევის რეგიონი, 20 შენობა დაიბომბა. დონეცის რეგიონი ისევ ცხელი წერტილია სრლოებისთვის- მარიუპოლი, ლასტოჩკინი, თავსდაესხნენ ბოჰოიავლენკას, ვოლოდიმირივკას, მანგუშს, ვერხნოტორეცკეს და ტარამჩუკს. 26 ინფრასტრუქტურული ობიექტი დაზიანდა მათ შორის, საპენსიო ფონდის შენობა, კულტურის სახლები და საცხოვრებელი სახლები. ლისიჩანსკში, ლუგანცკის რეგიონი რუსულმა ძალებმა დაბომბეს ბავშვთა საავადმყოფო. ტროსტიანეცი, სუმის რეგიონი, ოკუპირებულია რუსული ჯარების მიერ. ადგილობრივი მმართველობის ცნობით რუსი ჯარისკაცები მათ სამხედრო ბაზაზე დაბინავდნენ ყველა საჭირო საბრძოლო ტექნიკით. ხარკოვში, მშვიდობიანი მოსახლეობის 10 საცხოვრებელი კორპუსი დაიბომბა. რუსულმა ძალებმა საჰაერო იერიში მიიტანეს ჟიტომირის ჯავშან ქარხანაზე, სადაც 2 ადამიანი დაშავდა.

უკრაინის გენერალური შტაბი გაფრთხილებას ავრცელებს, რომ რუსული ჯარები მიემართებიან კანივის ჰიდროელექტროსადგურისკენ. ქარხანა კიევიდან სამხრეთით დაახლოებით 100 კილომეტრში მდებარეობს.

ივანო-ფრანკოვსკში უკრაინის უსაფრთხოების [სამსახურმა დააკავა](#) ე.წ. „სახალხო რესპუბლიკების“ ორგანიზატორები. უკრაინის დასავლეთით 5 რეგიონში, რომლებიც გამოირჩევიან ანტი-რუსული სულისკვეთებით, შესაძლოა ყველაზე წინააღმდეგი და გამძლე აღმოჩნდნენ. ზემოხსენებულმა დივერსანტებმა მოამზადეს ბროშურები რომლებიც მიზნად ისახავდნენ უკრაინული ხელისუფლებისა და ჯარის ავტორიტეტისათვის ძირის გამოთხრას, შერყევას ლდპრ(L/DPR)-ის სცენარის თანახმად. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა ასევე დააკავა რუსი დივერსანტები დონეცკში, ხარკოვში, ზაკარპატიაში, რეგიონებში და ქალაქებში კიევისა და დნიპროში. დივერსანტები გეგმავდნენ თავდასხმას კრიტიკულ სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე და უკრაინელი სამხედროებზე.

ცოტათი პოზიტურ ნოტაზე, უკრაინის სამხედრო ძალებმა დაიბრუნეს კონტროლი ქალაქ მიკოლაევზე და კულბაკინოზე, აეროპორტი.

შეამოწმეთ COUPSURE-ის მიერ განახლებული საბრძოლო მოქმედებების [რუკა](#).

აქციები რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. აქციები სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინის მუნიციპალიტეტებში გრძელდება. [ხერსონში](#) მომიტინგეებმა მოახერხეს რუსული ჯარის გაყვანა ქალაქიდან. აქციის დროს რუსმა სამხედროებმა რამდენჯერმე ჰაერში გაისროლეს აქციის მონაწილეების დასაშინებლად, მაგრამ მათ მაინც ვერ შაშინეს მომიტინგეები. უკრაინელები ოკუპირებულ [ხერდიანსკში](#) ქუჩებში გამოვიდნენ, ასევე [მელიტოპოლში](#), ზაპოროჟიის ოლქში.

საერთაშორისო საზოგადოება. G-7 ქვეყნები შეთანხმდნენ რუსული გაზის მიტოვების აუცილებლობაზე და შემდგომში დამატებით სანქციებზე. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრო კულება შერტებულ შტატების სახელმწიფო მდივანი ანტონი ბლინკენს შეხვდა უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე. დისკუსია ეხებოდა უკრაინის თავდაცვითი შესაძლებლობების სასწრაფო გაძლიერების აუცილებლობას, მათ შორის საჰაერო თავდაცვის გაძლიერებას, რათა შესაძლებელი იყოს მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის და ინფრასტრუქტურის რუსული სამხედრო ავიაციისა და არტილერიისგან დაცვა.

ბიზნესის დახურვა. Visa და Mastercard აჩერებენ საქმიანობას რუსეთში. როგორც Mastercard იუწყება [ოფიციალური განცხადება](#) „ამ მოქმედებით რუსული ბანკების მიერ გაცემული ბარათები აღარ იქნება მხარდაჭერილი Mastercard ქსელში. და ნებისმიერი Mastercard, რომელიც გაიცემა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არ იმუშავებს რუსულ ქსელებში ან ბანკომატებში“. Paypal-მაც გამოაცხადა, რომ დატოვა რუსეთი. [Bloomberg-ის](#) პროგნოზით დაახლოებით 3-მა მილიონმა რუსმა შესაძლოა დაკარგოს სამსახური, რადგან საერთაშორისო ბიზნესები ტოვებენ რუსეთს ან აჩერებენ თავიანთ საქმიანობას იქ.

მოლაპარაკებები - რაუნდი 3. დავით არახამია, პარტია „ხალხის მსახური“-ის ლიდერი უკრაინის პარლამენტში განაცხადა, რომ მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი ორშაბათს, 7 მარტს გაიმართება.

Airbnb მხარდაჭერა. Airbnb-ის გაქირავების სერვისმა მხარი დაუჭირა უკრაინაში ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების [ინიციატივას](#). მოსახლეობა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეუერთდა ინიციატივას უკრაინელების მხარდასაჭერად, დაჯავშნა გაქირავება მძიმედ დაზარალებულ რეგიონებში. მთელი იდეა მდგომარეობს იმაში რომ, ხალხი ჯავშნის ბინებს და ფულს წინასწარ რიცხავს მაგრამ რალათქმა უნდა ვერ ჩადიან ადგილზე. უკრაინული Airbnb-ის მასპინძლებს 48 საათში უკვე \$1,9 მილიონი გადაეცათ.

ციფრული უსაფრთხოება. ციფრული ომი სამხედროს პარალელურად მიმდინარეობს. ყოველდღიური ჰაკერების თავდასხმები უკრაინის საინფორმაციო გამოშვებებზე გრძელდება. ანონიმუსის ჰაკერულმა ჯგუფმა რუსეთის სამთავრობო სერვერებზე თავდასხმა გამოაცხადა. პირველი [ფედერალური უსაფრთხოების ბიურო](#) გატეხეს.

ვიზუალური ომი. თვალი ადევნეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების განვითარებას ინტერაქტიულ [რუკაზე](#). რომელზეც ყველა აქტიურად თავდასმისქვემ არსებულ ქალაქს აჩვენე

კვირის ხედვა:

- დისკუსია [„ომი უკრაინაში და მსოფლიოს მომავალი“](#)- იუვალ ნოა ჰარარი, ტიმოთი სნაიდერი, ენ ეპლბაუმი.
- Youtube არხი [„სიმართლე უკრაინის ომის შესახებ“](#) მომზადებული საქველმოქმედო ფონდის ქვეყნიდან უკრაინამდე.

სტატისტიკა:

- უკრაინის მოხალისეობრივ მუნიციპალურ თავდაცვას 10 დღეში 100 ათასი უკრაინელი შეუერთდა.
- უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა რუსების საერთო სავარაუდო დანაკარგი გამოაცხადა : სამხედროები 2022 წლის 6 მარტის დილის 6 საათისთვის: ჯარი - 11 000-ზე მეტი, ტანკები – 285, APV – 985, არტილერიული სისტემები – 109, MLRS – 50, საზენიტო საბრძოლო სისტემები – 21, თვითმფრინავი – 44, ვერტმფრენები – 48, მანქანები – 447, მსუბუქი სიჩქარის კატარღები - 2, საწვავის ავზები - 60, უპილოტო საფრენი აპარატების ოპერატიულ-ტაქტიკური დონეზე - 4.

ყველა ქმედებას მნიშვნელოვანია, რაც არუნდა მცირე!!

- ჩვენ მოვამზადეთ [ბუკლეტები ფაქტებით](#), რუსეთ-უკრაინის ომზე. გაიყოლეთ რამდენიმე როცა საპროტესტო აქციაზე გახვალთ ან გაუზიარეთ მეზობლებს და მეგობრებს.
- გაავრცელეთ ინფორმაცია უკრაინის შესახებ ადგილობრივ მედიაში ან ადგილობრივ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.
- მხარი დაუჭირეთ [„უკრაინის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“](#) ინიციატივას.
- შეგიძლიათ მხარი დაუჭიროთ უკრაინას სანდო ორგანიზაციების სიის მეშვეობით- [ჩვენი მხარდაჭერა უკრაინას](#).
- გაავრცელეთ ინფორმაცია უკრაინის [საერთაშორისო ლეგიონის შესახებ](#) .

მადლობას გიხდით უკრაინის მხარდაჭერისათვის! დიდება უკრაინას!

განახლებები მზადდება უკრაინის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადამიანის უსაფრთხოებისა და დემოკრატიის ექსპერტების მიერ, რომლებიც უკრაინის გარშემო ყველა ქალაქში არიან. არასამთავრობო ორგანიზაციები: პოლიტიკური და საინფორმაციო კვლევითი ინსტიტუტი, თემების სამყარო, კიევის საგანმანათლებლო ცენტრი ტოლერ-სივრცე (Tolerspace) U-Cycle (კიევის ველოსიკედისტთა ასოციაცია) ღია სივრცე (OpenSpace). Works Cooperative. ექსპერტები: სოფია ოლიინიკი, მარიანა ზავისკა, სოფია ბელა (კულტურული მემკვიდრეობის ბლოგი), ტარას ტიმჩუკი, ულიანა მოვჩანი (დეზინფორმაციის ბლოგი).